ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა
GIOVANNI PICO DELLA MIRANDOLA

სიტყვა
ადამიანის ღირსების შესახებ

ORATION ON THE DIGNITY OF MAN

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2025

მთარგმნელი: ზურაბ სონღულაშვილი
რედაქტორი: ლექსო დორეული
კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2025
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“
© ზურაბ სონღულაშვილი

ISBN 978-9941-8-7432-1

სარჩევი

წინათქმა.....4

სიტყვა ადამიანის ღირსების შესახებ.....9

წინათქმა

აღორძინების ეპოქის მანიფესტი – ხშირად სწორედ ასე მოიხსენიებენ ამავე პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და გაბედული მოაზროვნის, იტალიელი ჯოვანი პიკო დელა მირანდოლას (1463-1494) უმთავრეს ნაშრომს, რომლის თარგმანსაც ვთავაზობთ მკითხველს. ტრაქტატის მნიშვნელობისა და მისი დასავლურ ინტელექტუალურ ისტორიაზე გავლენის გათვალისწინებით, მართლაც უცნაურია, რომ აქამდე ის ქართულ ენაზე უთარგმნელი დარჩა.

„სიტყვა ადამიანის ღირსების შესახებ“ არის ტექსტი, რომელშიც პარადიგმატულად არის წარმოჩენილი აზროვნების შუა საუკუნეობრივი ტიპიდან აღქმის რენესანსულ მოდელზე გადასვლის შედეგები. როგორც ერიხ ფრომი წერს: „შუა საუკუნეების სამყაროს დანგრევასა და მის მიერ ძალზე თვალსაჩინო აკრძალვებით შებორკილი ადამიანების განთავისუფლებას ოთხას წელიწადზე მეტი დასჭირდა“. მირანდოლა სწორედ ამ ისტორიული მოვლენის, ადამიანის მიერ ინდივიდუალური თავისუფლების ხელახლა აღმოჩენის საწყისებთან დგას.

მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორის გათვალისწინება – მირანდოლა ცდილობს ადამიანს მიანიჭოს თავისუფლება ღმერთის იდეის დანაკარგის გარეშე. მისი აზრით, ადამიანი თავისუფალ არსებად სწორედ ღმერთმა დაბადა. ადამიანის თავისუფლება, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურია; ის თავისუფალია არა მხოლოდ სოციალური თუ ეთიკური გაგებით, არამედ ონტოლოგიურადაც – რადგან მას შეუძლია თავადვე აირჩიოს, შექმნას საკუთარი ბუნება, არსი. ადამიანი საკუთარი თავის ერთადერთი შემოქმედია. მირანდოლას აზრით, სწორედ ამით განვსხვავდებით ჩვენ სხვა მიწიერი, თუ ზეციური ქმნილებებისგან და სწორედ ამის გამო ადამიანი ყველაზე ბედნიერი და საოცარი არსებაა.

შეუძლებელია მკითხველი არ მონუსხოს მირანდოლას სიტყვებმა, რომლებსაც ის ღმერთს წარმოათქმევინებს:

„ო, ადამ, ჩვენ შენ ვერ მოგეცით, ვერც შენი შესაფერისი რაიმე სახება, ვერც მხოლოდ შენი კუთვნილი რაიმე ნიჭი, რათა როგორი ადგილიც, ფორმაც და ნიჭიც არ უნდა ამოირჩიო წინასწარ, შეგეძლოს ის საკუთარი სურვილისა და გადაწყვეტილების მიხედვით იქონიო და ფლობდე. ყველა სხვა ქმნილების ბუნება განსაზღვრულია და შეზღუდულია იმ კანონებით, რომლებიც ჩვენ დავადგინეთ; მათგან განსხვავებით, შენ, ვისაც არ ეხება ეს შეზღუდვები, შეგიძლია, საკუთარი თავისუფალი ნებით, რომელიც

ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა

სიტყვა ადამიანის ღირსების შესახებ

ყოვლადღირსო *მამებო*, ძველ არაბულ ხელნაწერებში წამიკითხავს, რომ როცა აბდალა სარაცინს[1] ჰკითხეს, სიცოცხლის, ასე ვთქვათ, იმ ეტაპზე ყველაზე მეტად რა იწვევდა მის გაოცებას, მან უპასუხა, რომ არაფერი იყო ადამიანზე უფრო გასაოცარი. ჰერმეს ტრისმეგისტის[2] ის ცნობილი შეძახილიც – „რა საოცრებაა ადამიანი, ასკლეპიუს“ – ადასტურებს ამ მოსაზრებას.

---

1. სავარაუდოდ, აბდ ალ-ლაჰ იბნ ალ-მუკაფა, VIII საუკუნეში მოღვაწე სპარსელი ფილოსოფოსი, მწერალი და მთარგმნელი, რომელიც არაბულ ენაზე წერდა. ცნობილია მისი ძველი სპარსულიდან არაბულ ენაზე თარგმნილი „წიგნი ქალილასა და დიმნასი“, რომელსაც ქართველი მკითხველი ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსეს მიერ შესრულებული ამ ძეგლის სპარსული ვერსიის თარგმანით იცნობს.

2. ჰერმეს ტრისმეგისტი (Hermes Mercurius Trismegistus), მითოლოგიური პერსონაჟი, რომელიც, გადმოცემით, თავის თავში ორ ღვთაებას, ბერძნულ ჰერმესსა და ეგვიპტურ ტოტის, აერთიანებს. მას მიაწერენ რელიგიურ-ფილოსოფიური სახის სწავლებებს, რომლებიც ტრაქტატების სახითაა შემორჩენილი ძველ ბერძნულ ენაზე და რომელთა საფუძველზეც წარმოიშვა მეცნიერება ჰერმეტიზმი.

და მაინც, როცა დავფიქრდი იმაზე, თუ რა იყო ის საფუძველი, რომელსაც ეს შეფასებები ემყარებოდა, იმ სხვადასხვა არგუმენტმა, რიგმა პიროვნებებმა რომ მოიყვანეს ადამიანის ბუნების უპირატესობის სასარგებლოდ, ბოლომდე მაინც ვერ დამარწმუნა; მაგალითად: რომ ადამიანი შუამავალია ქმნილებებს შორის, რომ ის მასზე მაღლა მდგომი ღმერთის ახლობელია და ამავე დროს ბატონობს მასზე დაბალ არსებებზე; რომ მისი გრძნობების სიმძაფრით, გონების მჭვრეტელობითა და ინტელექტის სინათლით ის ბუნების ინტერპრეტატორია, რომელიც სადღაც შუაში დგას მარადიულ არაცვალებადსა და დროის დინებას შორის; ის არის ცოცხალი ჰარმონია (როგორც სპარსელები ამბობენ), თვით ქვეყნიერების საქორწინო ჰიმნი და, დავითის დამოწმებით, არც ბევრად დამცირებული ანგელოზებზე[3]. უდავოა, რომ ყველა ეს არგუმენტი საკმაოდ წონადია; თუმცა ისინი როდი ეხებიან იმ ძირითად მიზეზებს, რომლებიც, ასე ვთქვათ, ამართლებენ ადამიანის განსაკუთრებულ უფლებას მის მიმართ ეგზომ უსაზღვრო თაყვანისცემაზე? რატომ არ უნდა ვცემდეთ თაყვანს უფრო მეტად, თუნდაც თვით ანგელოზებსა და ნეტარ დასებს? – ვიკითხე მე. თუმცა საბოლოოდ მივ-

3. ძველი აღთქმა, ფსალმუნნი, ფსალმუნი 8, (6).

ხვდი, თუ რატომ არის ადამიანი ყველაზე ბედნიერი ცოცხალ არსებებს შორის და შესაბამისად რატომ იმსახურებს ის ყველანაირ თაყვანისცემას; რა მდგომარეობა შეიძლება ჰქონდეს მას მიჩენილი ცოცხალ არსებათა იმ იერარქიაში, რომელიც არა მხოლოდ ცხოველებს, არამედ ასტრალურ არსებებსაც და თვით იმ გონიერ ქმნილებებსაც კი, რომლებიც სამყაროს საზღვრებს მიღმა მკვიდრობენ, მის მიმართ შურით განაწყობს; ეს არის ის, რასაც ჩვენი გონება ვერ სწვდება და ჩვენი სული განცვიფრებაში მოჰყავს. თუმცა სხვანაირად როგორ შეიძლებოდა, ყოფილიყო? რამეთუ სწორედ ამის გამოა – რაც სავსებით სამართლიანია – რომ ადამიანი ითვლება და იწოდება დიდ საოცრებად და იმ ქმნილებად, რომელიც ღირსია თაყვანისცემისა.

მაშ, მოისმინეთ, ო, მამებო, თუ ზუსტად როგორია ადამიანის ეს მდგომარეობა, და თქვენი ჰუმანურობის სახელით ღირსმყავით თქვენი მოწყალე ყურადღების, სანამ მე ამ თემას განვიხილავდე.

მამა ღმერთს, ყოვლადძლიერ ხუროთმოძღვარს, მისი დაფარული სიბრძნისეული მცნებებისამებრ უკვე აეშენებინა ჩვენ მიერ ხილული ეს სამყარო, ღვთაებათა კოსმოსური სამკვიდრებელი, ტაძარი ყოვლად დიდებული. მას უკვე შეემკო ზეციური არეალი გონიერი ქმნილებებით, შთაებერა უკვდავი სულების სიცოცხლე ციური სხეულე-

ბისთვის და გაევსო ქვედა სამყარო, ეს გაფუებული ნეხვის გროვა, ცხოველთა ყველა სახეობებით; მაგრამ როცა ეს საქმე დასრულდა, უზენაეს შემოქმედს აშკარად კიდევ რაღაც დააკლდა თვალში – ის, ვინც მიხვდებოდა ამ დიადი საქმის მნიშვნელობას, მოინუსხებოდა მისი სილამაზით და კრძალვით აღივსებოდა მისი დიდებულებისადმი. როდესაც ბოლოს და ბოლოს, სხვა ყველაფერი გასრულდა (როგორც ამას როგორც მოსე, ასევე ტიმეოსიც[4] ადასტურებს), სულ ბოლოს *მან* ჩაიფიქრა, შეექმნა ადამიანი; თუმცა სიმართლე ის იყო, რომ აღარ დარჩენილიყო პირველსახე, რომლის მიხედვითაც ის შეძლებდა, ახალი ნაშიერისთვის ფორმა მიეცა; აღარც მის ხაზინაში მოიპოვებოდა სახსრები, რომლითაც ის ახალ შვილს შესაფერისი მემკვიდრეობით უზრუნველყოფდა, და არც რაიმე ადგილი სამყაროს საბრძანებლებს შორის, სადაც ამ ახალ ქმნილებას შეეძლო, იმგვარად მოწყობილიყო, რომ იქიდან მთელი სამყაროსთვის თვალი ედევნებინა. ყველა სივრცე შევსებული იყო უკვე; ყველაფერი უმაღლეს, საშუალო და უმდაბლეს მწყობრთა შორის იყო განაწილებული. თუმცა მამის ძალაუფლების ბუნება მისი უკანასკნელი შემოქმედებითი აღტკინების მარცხით დასრულებას

4. პლატონის დიალოგი „ტიმეოსი“.